სამშობლო. დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
14
მარტი
№31 (10424)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

# დადგენილება

## საქართველოს რესპუბლიკაში რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკაში 1991 წლის 31 მარტს დანიშნული რეფერენდუმის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მოვალეობის შესრულება.

2. ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მიერ შერჩეულმა საოლქო სარეფერენდუმო კომისიებმა მუშაობა დაიწყონ ამა წლის 7 მარტიდან, ხოლო საუბნო სარეფერენდუმო კომისიებმა არაუგვიანეს 12 მარტისა.

3. ამომრჩეველთა სიები საუბნო სარეფერენდუმო კომისიებმა საჯარო გაცნობისათვის გამოიტანონ არაუგვიანეს 21 მარტისა.

4. დაევალოს ცენტრალურ სარეფერენდუმო კომისიას რეფერენდუმის ხარჯთაღრიცხვის შედგენა, თანხების განაწილებისა და გამოყენების წესის დადგენა.

5. ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს საერთაშორისო მეთვალყურეთა მოწვევა და რეფერენდუმზე დასწრება.

6. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ეთხოვოს „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბოს შემდეგი რედაქციით:

„ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიისა და საოლქო სარეფერენდუმო კომისიების მოვალეობების შესრულება ეკისრებათ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საოლქო ან საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოთა არჩევნების ტერიტორიულ საარჩევნო კომისიებს. საუბნო სარეფერენდუმო კომისიებს ქმნიან საოლქო სარეფერენდუმო კომისიები ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მიერ დადგენილი წესით“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 5 მარტი.

---

### მცირე კომენტარი

# ლაფში ჩაფლული ურემი. . .

დღეს ყველანი თვალნათლივ ვხედავთ, ფიზიკურადაც ვგრძნობთ, რომ „საბჭოთა კავშირად“ წოდებული უზარმაზარი იმპერიული ურჩხული სასიკვდილო კრუნჩხვებს ჯერ-ჯერობით „ვაჟკაცურად“ ებრძვის, ჯიუტად ეპოტინება ხრწნად არსებობას, თავისუფლების მზის მოსახრჩობად იწვდენს სისხლიან საცეცებს. მაგრამ, საბედნიეროდ, რამდენადაც იმპერიული ხელისუფლება ძალადობასა და სისხლს არ ერიდება, იმდენად ლქვდება, მტკიცდება და მნიშვნელოვნად ძლიერდება ჩვენი სწრაფვა სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ.

„თავისუფალ რესპუბლიკათა ურყევი კავშირის“ შესანარჩუნებლად კრემლი დიდი ხანია იყენებს პოლიტიკური ცხოვრების ისეთ „ნაცად“ ბოლშევიკურ მეთოდებს, როგორიცაა ტანკებითა და ტყვია-წამლით მშვიდობიანი მოსახლეობის ულეტახოცვა, პროვოცირებული ეთნოკონფლიქტები, ე. წ. ინტერფრონტები, ეკონომიკური ბლოკადა, დეზინფორმაციის გავრცელება და ასე შემდეგ. ამავე დროს კრემლში გამალებით მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის შენარჩუნების დასაბუთებისათვის საჭირო იურიდიული დოკუმენტების შემუშავება.

და აი, „ხალხთა საპყრობილედან“ განლტოლვის მოსურნე რესპუბლიკებისათვის ანუ იმათთვის, რომელთაც მონობის ახალ უღელში თავის გაყოფა თვითმკვლელობის ტოლფასად მიაჩნიათ, მოსკოვმა თითქოს ახალ გადაულახავ ზღუდედ აღმართა სსრკ უზენაესი საბჭოს ამა წლის 16 იანვრის მზაკვრული დადგენილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შენარჩუნების საკითხზე რეფერენდუმის ორგანიზაციისა და მისი ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ“.

საკავშირო პრესასა და ტელევიზიას თუ დავუჯერებთ, ბატონი პრეზიდენტი და მისი ერთგული ქვეშევრდომები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ქვეყნის მოსახლეობა 17 მარტს სსრ კავშირის შენარჩუნებას დადებითად მისცემს ხმას, ხოლო ვინც ხმამაღლა განაცხადებს „არა“—„თავზეხელაღებული რეაქციონერი და მილიტარისტი“ იქნება. გორბაჩოვისეული ამ ლოგიკით თუ განვჭრეტთ რეალობას, ცხადია, „თავზეხელაღებულ რეაქციონერთა“ პირველი მწკრივი უკვე შეავსეს ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა...

რაც შეეხება საქართველოს...

რაც შეეხება საქართველოს— ქართველი ერის ინტერესების გამომხატველმა რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 28 თებერვალს დაადგინა: არ გაიმართოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმი; რეფერენდუმის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, 1991 წლის 31 მარტს დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკაში რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე ერთადერთი კითხვით: „თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“.

მაშ ასე, წილი ნაყარია! ბალტიისპირა რესპუბლიკებში მოსახლეობის გამოკითხვამ ცენტრისათვის აშკარად სამწუხარო შედეგები გამოიღო. საქართველო ემზადება 31 მარტს მორიგი მტკიცე ნაბიჯი გადადგას სანუკვარი მიზნისაკენ. „ტყისკენ უჭირავთ თვალი“ თავისუფლებისმოყვარე სხვა ხალხებსაც.

როგორია გორბაჩოვის რეაქცია ფაქტებისადმი? როგორც ყოველთვის, უკიდურესად არადემოკრატიული. მას რესპუბლიკებში ჩატარებული პლებისციტი მიაჩნია უკანონოდ და უსაფუძვლოდ, არ ერიდება აშკარა მუქარასა და დამთრგუნავ სანქციებს „ურჩთა“ მიმართ.

საკავშირო რეფერენდუმის მუხანათურ, ანტისამართლებრივ და ანტიზნეობრივ არსზე ბევრის თქმა შეიძლება. შევჩერდები მხოლოდ რამდენიმე ასპექტზე, რომლებიც პრეზიდენტის ხელში „კოზირის“ როლს თამაშობენ. ჯერ ერთი, როგორც ცნობილია, ცენტრი ყველა ღონეს ხმარობს, რომ ავტონომიური რესპუბლიკები გახდოს სამოკავშირეო ხელშეკრულების სრულუფლებიანი სუბიექტები და ამით დაუპირისპიროს ისინი მოკავშირე რესპუბლიკებს. ესე იგი, კრემლი ვარაუდობს და არც თუ უსაფუძვლოდ, რომ საკავშირო რეფერენდუმის უარმყოფელი მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების სეპარატისტულად განწყობილი მოსახლეობა „დიადი საბჭოეთის“ შენარჩუნებას დაუჭერს მხარს. საამისოდ ის ყველაფერს აკეთებს. რაღა შორს წავიდეთ, პრეცედენტი უკვე სახეზეა—აფხაზეთის არაქართველი მოსახლეობა, მიუხედავად საქართველოს პარლამენტის ზემოთაღნიშნული დადგენილებისა, მონაწილეობას აპირებს 17 მარტის რეფერენდუმში.

ახლა მეორე და არსებითი. „საბჭოთა კავშირში რეფერენდუმის შესახებ“ 1990 წლის 27 დეკემბრის კანონის თანახმად გადაწყვეტილება, გამოტანილი რეფერენდუმზე, ჩაითვლება მიღებულად თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო სარეფერენდუმო სიებში შეყვანილ მოქალაქეთა ნახევარზე მეტმა და რეფერენდუმის შედეგად ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა კენჭისყრაში მონაწილე მოქალაქეთა ნახევარზე მეტმა. ე. ი. გამოდის, რომ რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების მქონე საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა 25 პროცენტს პლუს 1 ხმით შეიძლება დადგინდეს საბჭოთა კავშირის შენარჩუნების აუცილებლობა და ამას დაერქმევა ხალხის ნების გამოხატულება. ასეთ ვითარებაში დემოკრატიაზე და „სუვერენულ რესპუბლიკათა“ ინტერესების დაცვაზე საუბარი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

საკავშირო რეფერენდუმის ჩატარება სხვა არაფერია თუ არა მცირერიცხოვანი რესპუბლიკების ხმების ჩახშობა იმპერიის შორს გამიზნული, დიდმპყრობელური ზრახვების სასიკეთოდ. თავად განსაჯეთ: საბჭოთა კავშირის მოსახლეობა ასზე მეტ დიდსა და მცირერიცხოვან ხალხს ითვლის. აქედან ყველაზე მრავალრიცხოვანი —მოსახლეობის საერთო რაოდენობის თითქმის ნახევარი რუსები არიან. განა ამ ერთი ერის ხმა სულ ადვილად არ გადასძლევს თუნდაც ერთად აღებული ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდოვას, სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს რესპუბლიკების აბორიგენი მოსახლეობის ხმებს? რუსი ერი კი, მოგეხსენებათ, ამ იმპერიის ბატონ-პატრონად თვლის თავს და მისი გაყინული ცნობიერება ვერ ჰგუობს საბჭოთა კავშირის დაშლის პერსპექტივას.

ერთი სიტყვით, საკავშირო რეფერენდუმის არსი გასაგებია. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროდ, კრემლმა სულაც ახალი და ახალი სიურპრიზები შემოგვთავაზოს.

ისე, ამ ბოლო დროს ბატონი პრეზიდენტის მეთაურობით მოსკოველ „დიდვეზირთა“ რიხიან ტელეგამოსვლებს რომ ვაკვირდები და ვუსმენ, რატომღაც, ერთი კეთილშობილი არსება მაგონდება, რომელსაც ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ეგონა.

დაე, ეგონოთ!..

ჩვენ კი, მეგობრებო, 31 მარტს ქვეყნიერების გასაგონად ერთხელაც შევძახოთ: დიახ, თავისუფლება გვინდა!

ჯამბულ არქანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების ზუგდიდის რაიონის ტერიტორიულ-საარჩევნო კომისიაში შემავალი უბნები და ოლქები

(გაგრძელება)

**ზემო კახათის საარჩევნო ოლქი №2**

ცენტრი: ქორა გეთიას სახლი.

საზღვრები: №3 ბრიგადის ტერიტორია მთლიანად და №2 და №4 საწარმოო ბრიგადების ტერიტორიის ნახევარი.

**შუა კახათის საარჩევნო ოლქი №3**

ცენტრი: გიგლა შედანიას სახლი.

საზღვრები: №4 და 5 საწარმოო ბრიგადების ტერიტორიის ნახევარ-ნახევარი.

**შუა კახათის საარჩევნო ოლქი №4**

ცენტრი: შალიკო გუგუჩიას სახლი

საზღვრები: №5 ბრიგადის ტერიტორიის ნახევარი და №6 ბრიგადის ტერიტორია მთლიანად.

**ქვემო კახათის საარჩევნო ოლქი №5**

ცენტრი: კახათის №2 საშუალო სკოლის შენობა.

საზღვრები: №7, №9 საწარმოო ბრიგადებას ტერიტორია მთლიანად.

**ქვემო კახათის საარჩევნო ოლქი №6**

ცენტრი: ბიჭიკო მოსიას სახლი.

საზღვრები: №8 და №10 საწარმოო ბრიგადების ტერიტორია მთლიანად.

## სოფ. კოკი № 13

ცენტრი—კოკის ადმასკომის შენობა.

საზღვრები—კოკის ტერიტორია მთლიანად.

სოფ. კოკი დაყოფილია 4 საარჩევნო ოლქად

**საარჩევნო ოლქი № 1**

ცენტრი—ჯემალ ჩიქავას სახლი

საზღვრები—№ 1 ბრიგადის ტერიტორია მთლიანად, ბარათაშვილის ქუჩა № 36-დან ბოლომდე. რუსთაველის ქ. 35-დან ბოლომდე, საიკოს ქ. ქავთარაძის ქუჩა.

**საარჩევნო ოლქი № 2**

ცენტრი—ხუხუა ძებულაძის სახლი.

საზღვრები—№ 5 ბრიგადა მთლიანად. მთლიანად ცხაკაიას ქუჩა, რუსთაველის ქ. ბარათაშვილის ქ. № 1-დან, № 36-დან № 44-მდე.

**საარჩევნო ოლქი № 3**

ცენტრი—თეხუნა ნარმანიას სახლი.

საზღვარი—№ 4 ბრიგადა მთლიანად.

**საარჩევნო ოლქი № 4**

ცენტრი—არველოდ ხაჭუების სახლი.

საზღვარი—ხურჩის უბანი მთლიანად.

## სოფ. კორცხელი № 14

ს. კორცხელში შეიქმნა ორი საარჩევნო უბანი.

**კორცხელის საარჩევნო უბანი № 1**

ცენტრი—კორცხელის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა.

საზღვრები—კორცხელის კოლმეურნეობის ტერიტორია მთლიანად.

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზ. „ოდიში" № 30.

**ნაცატუს საარჩევნო უბანი № 2**

ცენტრი—ნაცატუს კოლმეურნეობის კანტორა.

საზღვრები—ნაცატუს კოლმეურნეობის ტერიტორია მთლიანად:

სოფ. კორცხელში შეიქმნა 5 საარჩევნო ოლქი.

**კორცხელის საარჩევნო ოლქი № 1**

ცენტრი—მაშის 8 წლიანი სკოლა

საზღვრები— № 1, 2 და 3 ბრიგადის ტერიტორია მთლიანად.

**საარჩევნო ოლქი № 2**

ცენტრი—პარმენ ქობალიას სახლი.

საზღვრები: № 4, 5, 7 და 6 ბრიგადის ტერიტორიის ნაწილი სარაფიას ჩათვლით.

**საარჩევნო ოლქი № 3**

ცენტრი—კორცხელის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა.

საზღვრები—№ 6 ბრიგადის ტერიტორიის ნაწილი თორდიებისა და ლეჟავანეს ჩათვლით და № 8, 9, 10 და 11 ბრიგადების ტერიტორია.

**ნაცატუს საარჩევნო ოლქი № 4**

ცენტრი—ნაცატუს კოლმეურნეობის კანტორა.

საზღვრები— № 1, 2, 3 ბრიგადების ტერიტორია.

**ნაცატუს საარჩევნო ოლქი № 5.**

ცენტრი—ჯიმშერ ქობალიას სახლი.

საზღვრები: —№ 4, 5 ბრიგადის ტერიტორია.

## სოფ. ნარაზენი № 15

**ს. ნარაზენში შეიქმნა ორი საარჩევნო უბანი**

**ნარაზენის საარჩევნო უბანი № 1**

ცენტრი: ნარაზენის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა.

საზღვრები—სოფ. ნარაზენის კოლმეურნეობის ტერიტორია № 12 ბრიგადის გამოკლებით.

**ხეცერის მეურნეობის საარჩევნო უბანი № 2**

ცენტრი —ხეცერის ჩაის მეურნეობის კლუბი.

საზღვრები—ნარაზენის და ხეცერის ჩაის მეურნეობების, ნარაზენის ჩაის ფაბრიკის და ნარაზენის კოლმეურნეობის № 12 ბრიგადის ტერიტორია სოფ. ახალსოფლის საბეჭვაიოს უბნის მიმატებით.

სოფ. ნარაზენი დაყოფილია 5 საარჩევნო ოლქად.

**საარჩევნო ოლქი № 1**

ცენტრი—ოფელია თოდუას სახლი.

საზღვრები— № 1, 2, 3 ბრიგადის ტერიტორიები მთლიანად № 4 ბრიგადის ნაწილი გული თოდუას სახლის ჩათვლით.

**საარჩევნო ოლქი № 2**

ცენტრი—სულიკო ბერიშვილის სახლი.

საზღვრები: —თემურ თოდუას სახლიდან № 5, 6, 7 ბრიგადების ტერიტორიები მთლიანად. № 8 ბრიგადის ტერიტორიის მიმატებით ქორა ბერიშვილის სახლის ჩათვლით.

**საარჩევნო ოლქი № 3**

ცენტრი —ოლია თოდუას სახლი.

საზღვრები: —აბელ ბერიშვილის სახლიდან № 8, 9 ბრიგადების ტერიტორია. მთლიანად, № 10 ბრიგადის ნაწილი იგორ კალანდიას სახლის ჩათვლით.

**საარჩევნო ოლქი № 4**

ცენტრი—ნარაზენის ჩაის ფაბრიკის ადმინისტრაციული შენობა.

საზღვრები: № 10 ბრიგადის ნაწილი, № 11, 12 ბრიგადის ტერიტორიები მთლიანად ნარაზენის ჩაის ფაბრიკის ტერიტორია სვანების დასახლების ხაწილი.

**საარჩევნო ოლქი № 5**

ცენტრი—ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კლუბი.

საზღვრები—ნარაზენისა და ხეცერის ჩაის მეურნეობის ტერიტორია საბეჭვაიოს უბნის მიმატებით.

## სოფ. ოდიში № 16

სოფ. ოდიშში შექმნილია 2 საარჩევნო უბანი

**ოდიშის საარჩევნო უბანი № 1**

ცენტრი—ოდიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა.

საზღვრები—სოფ. კორცხელის ტერიტორიიდან ორდე კოსტას ძე დგებუაძის სახლიდან მდ. სინწის მარცხენა მხარის დასახლება ფრიდონ ივანეს ძე პაპავას სახლის ჩათვლით.

**კალინინის საარჩევნო უბანი № 2**

ცენტრი—ოდიშის მე-2 საშუალო სკოლის შენობა.

საზღვრები—სოფ. კორცხელი მურმან ილიას ძე ჯიჭონაიას სახლიდან ჩხოუშიას ტერიტორია მთლიანად ქ. ზუგდიდის საზღვრამდე.

სოფ. ოდიში დაყოფილია 6 საარჩევნო ოლქად.

**საარჩევნო ოლქი № 1**

ცენტრი—ოდიშის მე-2 საშუალო სკოლის შენობა.

საზღვრები:— სოფ. კორცხელის ტერიტორიიდან ორდე დგებუაძის სახლიდან მდ. სინწის მარცხენა მხარის დასახლება ფრიდონ პაპავას სახლის ჩათვლით.

**საარჩევნო ოლქი № 2**

ცენტრი— ოდიშის მე-2 საშუალო სკოლის შენობა.

საზღვრები—ს. კორცხელის ტერიტორიიდან მურმან ჯიჭონაიას სახლიდან მდ. ჩხოუშიამდე მთლიანად ზუგდიდის საზღვრამდე.

**საარჩევნო ოლქი № 3**

ცენტრი—პეპიკო სართანიას სახლი.

საზღვრები: ორდე დგებუაძის სახლიდან დათიკო ბულიას სახლამდე საჭურღულიას ჩათვლით.

**საარჩევნო ოლქი № 4**

ცენტრი: —მარდონ სიჭინავას სახლი.

საზღვრები—დათიკო ბულიას სახლიდან მამია კუხალეიშვილის სახლის ჩათვლით გრიგოლ მოლაშხიას სახლამდე.

**საარჩევნო ოლქი № 5**

ცენტრი—დაზურ გულორდავას სახლი.

საზღვრები—მურმან ჯიჭონაიას სახლიდან ზაურ კუხალეიშვილის სახლამდე, ზუგდიდი—წალენჯიხის გზის ორივე მხარის დასახლება.

**საარჩევნო ოლქი № 6**

ცენტრი— ზაურ გულუას სახლი.

საზღვრები: ზაურ კუხალეიშვილის სახლიდან გიგლა ჭედიას სახლის ჩათვლით, გზის ორივე მხარის დასახლება.

## სოფ. ორსანტია № 17

ცენტრი: ს. ორსანტიის კულტურის სახლი.

საზღვრები: ს. ორსანტიის ტერიტორია მთლიანად.

სოფ. ორსანტია დაყოფილია 5 საარჩევნო ოლქად.

**ზემო ორსანტიის საარჩევნო ოლქი № 1**

საზღვრები:— გ. საჯაიას, ლენინის ქ. ტაბიძის, ქ. გაგარინის ქ. ქიაჩელის ქუჩიდან დ. საჯაიას სახლამდე.

**ცენტრის საარჩევნო ოლქი № 2**

საზღვრები —გეგეჭკორის ქუჩიდან ჯ. ქვარაიას სახლამდე, ლენინის ქ-დან ს. გელენავას სახლამდე.

**ოტობაიას საარჩევნო ოლქი № 3**

საზღვრები— ქიაჩელის ქ. დ. საჯაიას სახლიდან მთლიანად შესახვევებით რუსთაველის ქ.-დან გამარჯვების ქ.

**ქვემო ორსანტიის საარჩევნო ოლქი № 4**

საზღვრები: მ. გარდავას სახლიდან, ბარათაშვილის, ქ. ძნელაძის ქ. მშვიდობის ქ. კ. დადეშქელიანის სახლიდან ბოლომდე, წერეთლის ქ. ორჯონიკიძის, ქ. მ. აკობიას სახლიდან მთლიანად თავისი ჩიხებით.

**საქვარაიოს საარჩევნო ოლქი № 5**

საზღვრები: გეგეჭკორის ქ. ჯ. ქვარაიას სახლიდან ბოლომდე, მშვიდობის ქ. თავისი ჩიხებით კ. დადეშქელიანის სახლამდე.

## სოფ. ორულუ № 18

ცენტრი—ორულუს სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა.

საზღვრები— ორულუ მთლიანად.

სოფ. ორულუ დაყოფილია 2 საარჩევნო ოლქად.

**საარჩევნო ოლქი № 1**

საზღვრები— რუსია ლემონჯავას სახლიდან იმედი მამფორიას სახლის ჩათვლით.

**საარჩევნო ოლქი № 2**

საზღვრები—ქორჟი სორდიას სახლიდან თამარა აბშილავას სახლისა და ტრისტან ამსაძის სახლის ჩათვლით.

## სოფ. ყულიშკარი № 19

ცენტრი—ყულიშკარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა.

საზღვრები— ყულიშკარის ტერიტორია მთლიანად.

სოფ. ყულიშკარი დაყოფილია 4 საარჩევნო ოლქად

**საარჩევნო ოლქი № 1**

საზღვრები— № 1 და № 2 საწარმოო ბრიგადის ტერიტორიები მთლიანად.

**სარჩევნო ოლქი № 2**

საზღვრები—№ 4 და № 5 საწარმოო ბრიგადების ტერიტორიები მთლიანად.

**საარჩევნო ოლქი № 3**

საზღვრები— № 6 და № 7 საწარმოო ბრიგადების ტერიტორიები მთლიანად,

**საარჩევნო ოლქი № 4**

საზღვრები— № 3, № 8 და № 9 საწარმოო ბრიგადების ტერიტორიები მთლიანად.

## სოფ. ოქტომბერი № 20

ცენტრი— ოქტომბრის კულტურის სახლი.

საზღვრები— ს. ოქტომბრის ტერიტორია მთლიანად.

ს. ოქტომბერი დაყოფილია 4 საარჩევნო ოლქად.

**თარგამეულის საარჩევნო ოლქი № 1**

ცენტრი—თარგამეულის სასოფლო კლუბი.

საზღვრები—ქუნა ხარგელიას სახლიდან ბონდო ხუხუას სახლამდე ქრიმელი ხაროუშვილის სახლიდან თამარა ფაცაციას და იბრაგიმ ლათათიას სახლამდე. თ. ფაცაციას სახლიდან ქუნა ხარგელიას სახლამდე ს. კახათის და ინგირის ჩაის მეურნეობის ტერიტორია.

**შიდა უბნის საარჩევნო ოლქი № 2**

საზღვრები—ბონდო ხუხუას სახლიდან მდ. ჩხოუშიამდე, ჯუმის ძველი კალაპოტი გულადი კუკავას სახლამდე. გულადი კუკავას სახლიდან კაკა ჯობავას სახლამდე. კაკა ჯობავას სახლიდან მდ კახათის წყალი ზ. ფელანგიას სახლამდე. ზ. ფელანგიას სახლიდან ბ. ესართიას და ბ. აბსანძის სახლამდე.

**ნაფშის საარჩევნო ოლქი № 3**

ცენტრი—შალვას სარჩიმელიას სახლი.

საზღვრები—პავლე ცაავას სახლიდან მდ. კახათის წყალი ვალიკო ნაჭყებიას სახლამდე. ვალიკო ნაჭყებიას სახლიდან ლუცია ვაჭარიას სახლამდე სოფ. კახათის ტერიტორია. ლუცია ვაჭარიას სახლიდან ორჯო ღურწკაიას სახლი, კაკო მაქაცარიას, ჯემალ თოდუას სახლებამდე. ჯემალ თოდუას სახლიდან ზურაბ კეზუას, ქორჟი ძაძამიას სახლები პავლე ცაავას სახლამდე.

**მუხურის საარჩევნო ოლქი № 4**

ცენტრი—კარლო დავითის ძე აფხაზავას სახლი.

საზღვრები—აკაკი უბილავას სახლი, მდ. კახათის წყალი, ლულუ ფეტელავას სახლამდე. პალიკო მიქავას სახლიდან ჯოტო ღულათავას, ზაირო ციკუტანიას, ბოჩო ქირიას სახლები არჩიპო ჯღამაიას სახლამდე. არჩიპო ჯღამაიას სახლიდან აკაკი უბილავას სახლამდე გზის მარცხენა მხარე.

## სოფ. რიყე № 21

ცენტრი—რიყის კოლმეურნეობის კანტორა.

საზღვრები—ს. რიყეს ტერიტორიად მთლიანად.

სოფ. რიყე დაყოფილია 4 საარჩევნო ოლქად

**საარჩევნო ოლქი № 1**

საზღვრები— ლუცია აკობიას სახლიდან ვარლამ კუხალეიშვილის გზის გავლით ტრიფონ ქირთაძის სახლამდე.

**საარჩევნო ოლქი № 2**

საზღვრები—ბეგი ქვანჭიანის სახლიდან ლეილა ვეკუას სახლამდე.

(დასასრული მე-8 გვერდზე)

# საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების ზუგდიდის რაიონის ტერიტორიულ-საარჩევნო კომისიაში შემავალი უბნები და ოლქები

(დასასრული)

**საარჩევნო ოლქი № 3**

**საზღვრები:** ლეილა ვეკუას სახლიდან გული ჯალაღონიას გზის გავლით ადამურ ბახტაძის სახლამდე.

**საარჩევნო ოლქი № 4**

**საზღვრები** — ლუდუკი ვეკუას სახლიდან თამარა თოდუას და ალექსანდრე ზურაბიანის სახლამდე.

## სოფ. რუხი № 22

**ცენტრი** — სოფ. რუხის კულტურის სახლი.

**საზღვრები** — სოფ. რუხი მთლიანად.

სოფ. რუხი დაყოფილია 4 საარჩევნო ოლქად.

**საარჩევნო ოლქი № 1**

**საზღვრები** — იაკიკო ფარცვანიას, შალიკო რაფავას სახლიდან № 1 და № 2 ბრიგადა მთლიანად, ტ. ჯახაძიას სახლიდან ვაჟიკო გუხავას სახლამდე.

**საარჩევნო ოლქი № 2**

**საზღვრები** — ძუგა ჯანაშიას ზაურ თოდუას სახლიდან შუდული ქობალიას სახლამდე, ჯანიკო თოდუას სახლიდან ჯუმბერ ოყუჯავას სახლამდე.

**საარჩევნო ოლქი № 3**

**საზღვრები:** ვ. გუნავას სახლიდან № 3 ბრიგადის ტერიტორია მთლიანად, ლოთი გულორდავას სახლამდე.

**საარჩევნო ოლქი № 4**

**საზღვრები** — ლოთი გულორდავას სახლიდან № 5, 6, 7 და 8 ბრიგადების ტერიტორია მთლიანად. ბედიშა სორდიას სახლამდე.

## სოფ. შამგონა № 23

**ცენტრი** — სოფ. შამგონას კოლმეურნეობის შენობა.

**საზღვრები** — სოფ. შამგონის ტერიტორია მთლიანად.

სოფ. შამგონა დაყოფილია 4 საარჩევნო ოლქად.

**საარჩევნო ოლქი № 1**

**ცენტრი** — თორნიკე ქვარცხავას სახლი.

**საზღვრები** — შოთა ქირიას სახლიდან, აჩიკო ჭარტოზიას, გულნარა ხვარძიკიას სახლების ჩათვლით.

**საარჩევნო ოლქი № 2**

**ცენტრი** — ნელიკო მესხიას სახლი.

**საზღვრები** — სულიკო ჯინჯოლიას დიმიტრი წყაროზიას, კაკო წყაროზიას სახლებიდან შოთა შენგელიას, ქორა შენგელიას სახლის ჩათვლით.

**საარჩევნო ოლქი № 3**

**ცენტრი** — ლივერიკო ხუბუას სახლი.

**საზღვრები** — ჰიჰიკო თორიას, ბორისი მითაგვარიას, ალიოშა წყაროზიას; არტემი შამუგიას სახლებიდან ომელი თორიას კაკო შენგელიას სახლების ჩათვლით.

**საარჩევნო ოლქი № 4**

**ცენტრი** — ვლადიმერ კვიტაიძის სახლი.

**საზღვრები** — სერიოჟა კვარაცხელიას, სალდათი პატარაიას, პავლე ჩიქავას, გულიკო სორდიას, ციალა გაბისონიას სახლებიდან დიდიკო ქარდავას ქორქი ქარდავას სახლების ჩათვლით.

## სოფ. ჩხორია № 24

სოფ. ჩხორიაში შექმნილია 3 საარჩევნო უბანი.

### ჩხორიის საარჩევნო უბანი №1

**საზღვრები** — ჩხორიის კოლმეურნეობის ტერიტორია მთლიანად.

### ტყაიის საარჩევნო უბანი №2

**საზღვრები:** ტყაიის კოლმეურნეობის ტერიტორია მთლიანად.

### ზედაეწერის საარჩევნო უბანი №3

**საზღვრები:** ზედაეწერის ჩაის მეურნეობის ტერიტორია მთლიანად.

ჩხორიაში შექმნილია 5 საარჩევნო ოლქი.

**საარჩევნო ოლქი №1**

**საზღვრები:** ჩხორიის კოლმეურნეობის ნაწილი ცენტრალური გზის მარჯვენა მხარე, ზედაეწერის ჩაის მეურნეობის ჭკადუაშის კოლმეურნეობის, წალენჯიხის რაიონის, სოფ. ლიასა და ყულიშკარის ტერიტორიამდე.

**საარჩევნო ოლქი №2**

**საზღვრები:** ჩხორიის კოლმეურნეობის ტერიტორიის ნაწილი, ცენტრალური გზას მარცხენა მხარე, ზედაეწერის ჩაის მეურნეობის და ტყაიის კოლმეურნეობის, წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიას საზღვარი.

**საარჩევნო ოლქი № 3**

**საზღვარი:** ტყაიის ტერიტორია მთლიანად.

**საარჩევნო ოლქი №4**

**საზღვარი:** ზედაეწერის ჩაის მეურნეობის ტერიტორიის ნაწილი ცენტრალური გზის მარჯვენა მხარეს, კორცხელის კოლმეურნეობისა და ჭკადუაშის კოლმეურნეობის ტერიტორიამდე.

**საარჩევნო ოლქი №5**

**საზღვრები:** ზედაეწერის ჩაის მეურნეობის ნაწილი ცენტრალური გზის მარცხენა მხარე, რუხის კოლმეურნეობის, ტყაიის კოლმეურნეობის, ჩხორიის კოლმეურნეობის საზღვრამდე.

## სოფ. ცაიში №25

**ცენტრი:** ცაიშის კოლმეურნეობის კანტორის შენობა.

**საზღვარი:** ცაიშის ტერიტორია მთლიანად.

ს. ცაიში დაყოფილია 5 საარჩევნო ოლქად.

**გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი №1**

**ცენტრი:** ანზორ გეგეჭკორის სახლი.

**საზღვარი** სოფ. ჭითაწყარის საზღვრიდან საჯიქიოს და საცანოს ჩათვლით, ცაიშის კოლმეურნეობის კანტორამდე.

**საარჩევნო ოლქი №2**

**ცენტრი:** კოლმეურნეობის კანტორა.

**საზღვრები:** ცაიშის კოლმეურნეობის კანტორიდან ცაიშის საშუალო სკოლამდე საგარდოს ჩათვლით.

**ჩხოუშის საარჩევნო ოლქი №3**

**ცენტრი:** კიაზო სორდიას სახლი.

**საზღვრები:** ჩხოუშის გადასახვევიდან საფარჯიკაოს ჩათვლით ს. ოქტომბრის საზღვრამდე.

**საქირიოს საარჩევნო ოლქი №4**

**ცენტრი:** ენუქი ჯანჯღავას სახლი.

**საზღვრები:** მდ. ჯუმიდან ცაცხვის მალაზიამდე.

**საარჩევნო ოლქი №5**

**ცენტრი:** სევერიან ჯანაშიას სახლი.

**საზღვრები:** ცაცხვის მალაზიიდან ს. დიდინეძის საზღვრებამდე.

## ჭაქვინჯი № 26

**ცენტრი** — სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობა.

**საზღვრები:** ს. ჭაქვინჯის ტერიტორია მთლიანად.

ჭაქვინჯში შექმნილია 4 საარჩევნო ოლქი.

**საარჩევნო ოლქი №1**

**საზღვრები:** ვალერიან ტიბუას სახლიდან ტიმინკო გოგუას სახლამდე.

**საარჩევნო ოლქი № 2**

**საზღვრები:** ბონდო თირქიას სახლიდან მირო ხუბულავას სახლამდე.

**საარჩევნო ოლქი №3**

**საზღვრები:** მელენტი ჩუხუას სახლიდან ვახტანგ ფარჯიკიას სახლამდე.

**საარჩევნო ოლქი №4**

**საზღვრები:** ტრისტან ტიბუას სახლიდან თურა ბერიშვილის სახლამდე.

## სოფ. ჭითაწყარი № 27

**ცენტრი:** ჭითაწყარის კოლმეურნეობის გამგეობის შენობა.

**საზღვრები:** სოფ. ჭითაწყარი მთლიანად.

სოფ. ჭითაწყარი დაყოფილია 5 საარჩევნო ოლქად.

**საარჩევნო ოლქი №1**

**საზღვრები:** №1 ბრიგადის ტერიტორია მთლიანად.

**საარჩევნო ოლქი №2**

**საზღვრები:** №2 და №3 ბრიგადის ტერიტორია მთლიანად.

**საარჩევნო ოლქი №3**

**საზღვრები:** №4 ბრიგადის ტერიტორია, №5 ბრიგადის ტერიტორია ხეჟელობიოვ კოუხთიშვილის ქუჩის გაგრძელება ცენტრიდან ალექტორ ისიდის სახლის ჩათვლით, ძისში ამ ტერიტორიაზე ძველი ჩიხებით.

**საარჩევნო ოლქი №4**

**საზღვრები:** №5 და №6 ბრიგადის ტერიტორია მთლიანად.

**საარჩევნო ოლქი №5**

**საზღვრები:** ონარიის ჩაის მეურნეობის და ზუგდიდის საპრობლემო მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიები მთლიანად.

## ჭკადუაში № 28

**ცენტრი:** კოლმეურნეობის კანტორა.

**საზღვრები:** ჭკადუაშის ტერიტორია მთლიანად.

ს. ჭკადუაში დაყოფილია 4 საარჩევნო ოლქად.

**საარჩევნო ოლქი №1**

**საზღვრები:** დასასვენებელი პროფილაქტორიუმი, №1 და №4 ბრიგადების ტერიტორია მთლიანად.

**საარჩევნო ოლქი №2**

**საზღვრები:** გუდუ ბელქანიას სახლი. №2 და №6 ბრიგადების ტერიტორია მთლიანად.

**საარჩევნო ოლქი №3**

**საზღვრები:** კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა №3, №5 და №10 ბრიგადის ტერიტორია მთლიანად.

**საარჩევნო ოლქი №4**

**საზღვრები:** — ხანიჭყების ბიბლიოთეკა, №4, №7 და №9 ბრიგადის ტერიტორია მთლიანად.

## სოფ. ჯიხაშკარის № 29

**ცენტრი:** ჯიხაშკარის საბჭოს აღმასკომის შენობა.

**საზღვრები:** სოფ. ჯიხაშკარის ტერიტორია მთლიანად.

სოფ. ჯიხაშკარში შექმნილია 4 საარჩევნო ოლქი.

**სობოგის საარჩევნო ოლქი №1**

**საზღვრები:** სობოგის ტერიტორია მთლიანად, ჭიჭიკო ბეხვალიას და ვერა ბეხვალიას სახლების ჩათვლით, ლეხა ბენდელიანის, სოსო კვარაცხელიას ფილაზონის ტერიტორია მთლიანად.

**საარჩევნო ოლქი №2**

**საზღვრები:** საბენდელიანოს და ქუადიდის ტერიტორია მთლიანად, საგეთიოს ტერიტორია მთლიანად, ნელი კონჯარიას სახლის ჩათვლით, „ციხე, სიმაგრე" ჯიხას ქვედა ტერიტორია მთლიანად.

**საშარიაშიას საარჩევნო ოლქი №3**

**საზღვრები:** არისტარხო გაბენავას სახლიდან საბენგელიოს ტერიტორია მთლიანად, საძაღლიოს ტერიტორია, ვალიკო სასიას სახლის ჩათვლით, დიმიტრი ზარანდიას სახლიდან ძამია ზარანდიას სახლის ჩათვლით.

**საარჩევნო ოლქი №4**

**საზღვრები:** საზარანდიოს საზღვრების ტერიტორია ს. ობუჯის საზღვრამდე.

## ს. ურთა №30

**ცენტრი:** ს. ურთის კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა

**საზღვრები:** სოფ. ურთის ტერიტორია მთლიანად.

ს. ურთა დაყოფილია 4 საარჩევნო ოლქად.

**საარჩევნო ოლქი №1**

**ცენტრი:** ურთის კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობა,

**საზღვრები:** ტახონ ქარჩავას სახლიდან ნოკო აბხაზავას სახლამდე, №1 ბრიგადის ტერიტორია მთლიანად № 2 ბრიგადის მონაკვეთი.

**საარჩევნო ოლქი №2**

**ცენტრი:** დილარ დაგარგულიას სახლი.

**საზღვრები:** ქორქი ხუხიას სახლიდან დათიკო ნინუას სახლამდე, №2 ბრიგადა მთლიანად, №3 ბრიგადის მონაკვეთი.

**საარჩევნო ოლქი №3**

**ცენტრი:** რაფიელ ქირიას სახლი.

**საზღვრები:** № 3, № 4 ბრიგადის ტერიტორია მთლიანად.

**საარჩევნო ოლქი №4**

**ცენტრი:** მზევარ ლატარიას სახლი.

**საზღვრები:** № 5 და № 6 ბრიგადები მთლიანად.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საკრებულოთა არჩევნების ზუგდიდის რაიონის ტერიტორიულ - საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მ. ჯაჭვია,

მდივანი ზ. ლურწკაია.

---

# ეროვნული სკოლა - პრობლემები, პერსპექტივები...

მიმდინარე სასწავლო წელს გაიხსნა ეროვნული სკოლა ქ. ზუგდიდში. თავდაპირველად იგი ქალალდის კომბინატის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა, ამჟამად კი აგროსაწარმოო გაერთიანების შენობის პირველ სართულს შეიძლება.

სკოლა მძიმე ვითარებაში ვიხილეთ: ორრიგად ჩამწკრივებულ მომცრო საკლასო ოთახებს ვიწრო დერეფანი ყოფს, ერთგან ფიზიკ გადაუტიხრავთ და გაკვეთილებს ატარებენ, არა აქვთ სამასწავლებლო ოთახი, ცხრილი ხელით დააქვთ, ზარს ისე რეკავენ, როგორც მე-19 საუკუნის გიმნაზიებში.

დირექციის ნებართვით დავესწარით საქართველოს ისტორიისა და გერმანული ენა-ლიტერატურის გაკვეთილებს, რამაც ჩვენზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა, შემდეგ ვესაუბრეთ პედაგოგებსა და მოსწავლეებს:

თეონა შონია თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე აბარებს, აქ გადმოვიდა, რათა არ ესწავლა სხვა სკოლებში სავალდებულო, ხოლო მისთვის სრულიად გამოუსადეგარი საგნები.

დათო ხარჩილავა რუსულ სკოლაში სწავლობდა. თავიდან გაუჭირდა, მაგრამ დაეხმარნენ, დიდი მხარდაჭერა და მზრუნველობა გამოიჩინეს მასწავლებლებმა.

მოსწავლეებს მოსწონთ სკოლის ატმოსფერო, განსხვავებით ძველისგან აქ უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს როგორც პიროვნებები.

ბატონმა ჯ. ნაყოფიამ (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი) გვითხრა: როგორც ხედავთ, ყველაფერი ახლებურადაა, დასწრება თავისუფალია, ძირითადი აქცენტი გადატანილია უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ პროგრამაზე. ჩემთან მოსწავლეები ჯერ ისტორიის ზოგად კურსს გადიან, შემდეგ ვიმუშავებთ საკითხებზე, რომელიც შეიძლება მისაღებ გამოცდებზე შეხვდეთ.

ნანა ქირია დემოკრატ პედაგოგთა ასოციაციის იმ ხაინიციატივო ჯგუფის წევრია, რომლის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

(დასასრული)

# ეროვნული სკოლა — პრობლემები, პერსპექტივები. . .

თაოსნობითაც გაიხსნა ეროვნული სკოლა. იგი გერმანულ ენას ასწავლის სპეციალური ექსპერიმენტული პროგრამით. მიუხედავად იმისა, რომ მე-9-მე-10 კლასები ჰყავს, ენის სწავლება თითქმის ანბანიდან დაიწყო. პედაგოგი თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალურად მუშაობს. სწავლობენ ნაწყვეტებს ბიბლიიდან, „ვეფხისტყაოსნიდან“. იმედოვნებს, რომ ისინი შეძლებენ ორიგინალში გაეცნონ გრინებს, ჰაუფს, ანდერსენს.

დირექტორმა გონერი პაპავამ გაგვაცნო სკოლის სტრუქტურა. (იგი ფიზიკოსია, მუშაობდა ჩხოროწყუს განათლების განყოფილებაში ინსტრუქტორად. არჩეულ იქნა მასწავლებელთა კონფერენციის მიერ). ხელმძღვანელობენ „ექსპერიმენტული სკოლის დებულებით“, რომელშიც შეტანილია მცირე ცვლილება. დირექტორი ერთპიროვნულად არ წყვეტს საკითხებს. შექმნილია სკოლის საბჭო, რომელშიც ცხრა მასწავლებელი და ორი მშობელია და ფაქტიურად ისინი წარმართავენ სკოლის საქმიანობას.

მედალი გაუქმებულია. დიდი ყურადღება ეთმობა ამა თუ იმ განხრის მაპროფილებელ საგნებს.

მასწავლებლები მოწვეულნი არიან ხელშეკრულებით (20 აგვისტომდე. თუ მათ შესაძლებლობის მიხედვით აქვთ უნარი დარჩნენ ამ სკოლაში, გააგრძელებენ მუშაობას, თუ არადა, ხელფასს მიიღებენ 2 თვის განმავლობაში.

სკოლას გახსნილი აქვს საკუთარი ანგარიში, რომელიც ეურდნობა როგორც სახელმწიფო, სახსრებს, ისე შემოწირულობებს. ანაზღაურება ჩვეულებრივზე მაღალია... ცდილობენ დემოგრაფიულ წახალისებასაც. ახალგაზრდა პედაგოგთა წყვილს, რომლებიც გადაწყვეტენ დაქორწინებას, ეძლევათ ორი ათასი მანეთი.

სკოლაში მე-9-დან მე-11 კლასებია. თითოეულ კლასში 10-12 მოსწავლეა, თუკი მაპროფილებელ საგნებში მოსწავლე ცვირის განმაქლობაში სამ ჯერ ჩათვლას მიიღებს, იგი გაირიცხება ამ სკოლიდან. როგორც აღვნიშნეთ, დასწრება თავისუფალია — მოსწავლეს შეუძლია და მოუკიდებლად იმუშაოს, მაგრამ მის საქმიანობას კონტროლს უწევენ.

სამომავლოდ თერთმეტივე კლასი გაიხსნება. ორიენტაცია იქნება აღებული მრეწველობის სპეციფიკურ დარგებზე. ვარაუდობენ, დაუკავშირდებიან დასავლეთის ქვეყნებს და აწარმოებენ მოსწავლეთა გაცვლას.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ ეწოდება სკოლას ეროვნული, ბატონმა გონერიმ გვითხრა, რომ იგი ემსახურება აღზრდის თანადროულ პრობლემების გადაწყვეტას ეროვნული თვალსაზრისით. ამ საკითხის გადაჭრა უკავშირდება რელიგიის ისტორიის შესწავლას. დირექტორმა აღნიშნა რელიგიურ სახელმძღვანელოთა ნაკლებობა, აგრეთვე აღნიშნა, რომ სასურველია ამ კურსს კითხულობდნენ საკუთრივ სამღვდელო პირები...

„..ეროვნული სკოლა ელოდება ახალ შენობას, სახელმძღვანელოებს. მასწავლებლებს, ბავშვებს, გულშემატკივრებს და რაც მთავარია, უახლოეს ხანებში პრეფექტთან შეხვედრას.

ვიქონიოთ მომავლის იმედი, როგორც მათეს სახარებაში ნათქვამია: „ითხოვდით და მოგეცეს თქვენ, ეძიებდით და პოვოთ, ირეკდით და განგეღოს, რამეთუ, რომელი ითხოვდის, მიიღოს, რომელი ეძიებდის, პოვოს“..


ნინო მეგონია,
ელენე ჯიმშელეიშვილი,

თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის მე-2 კურსის, ჟურნალისტიკის მეორადი განყოფილების პირველი კურსის სტუდენტები.



რედაქტორი
აკ. ჭანტურია.


## საქართველოს 1991 წლის ეროვნული საგაზაფხულო ჩემპიონატის გათამაშების კალენდარი ზუგდიდის „ოდიშის“ ფეხბურთელთა გუნდისათვის

**მარტი**

16. „ოდიში“ ზუგდიდი — „მზიური“ გალი.

20. „საბურთალო“ წყალტუბო — „ოდიში“ ზუგდიდი.

27. „ოდიში“ ზუგდიდი — „ივერია“ ხაშური.

**აპრილი**

1. „შევარდენი —1906“ — „ოდიში“ ზუგდიდი.

10. „ოდიში“ ზუგდიდი — „ამირანი“ ოჩამჩირე.

14. „სულორი“ ვანი — „ოდიში“ ზუგდიდი.

20. „ოდიში“ ზუგდიდი — „მარგვეთი“ ზესტაფონი.

25. „იბერია“ თბილისი — „ოდიში“ ზუგდიდი.

**მაისი**

1. „ოდიში“ ზუგდიდი — „გურია“ ლანჩხუთი.

5. „გორდა“ რუსთავი — „ოდიში“ ზუგდიდი.

12. „ოდიში“ ზუგდიდი — „ქუთაისი“ ქუთაისი.

16. „კოლხეთი—1913“ ფოთი — „ოდიში“ ზუგდიდი.

22. „ოდიში“ ზუგდიდი — „ბათუმი“ ბათუმი.

30. „ცხუმი“ სოხუმი — „ოდიში“ ზუგდიდი.

**ივნისი**

3. „ოდიში“ ზუგდიდი — „ალაზანი“ გურჯაანი.

10. „ოდიში“ ზუგდიდი — „მერცხალი“ ოზურგეთი.

14. „დილა“ გორი — „ოდიში“ ზუგდიდი.

21. „ოდიში“ ზუგდიდი — „კოლხეთი“ ხობი.

25. „სანავარდო“ სამტრედია — „ოდიში“ ზუგდიდი.

ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი „ოდიში“.

## მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ამა წლის 15 მარტს ქ. ზუგდიდის საცალო ვაჭრობისა და საზკვების სამმართველოს მიერ შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში დღის 15 საათზე ტარდება საქველმოქმედო აუქციონი.

აუქციონზე გაიყიდება უცხოური წარმოების შემდეგი დასახელების საქონელი: ვიდეომაგნიტოფონი, ტელევიზორი, სარეცხი მანქანა, მაგნიტოფონი, საკერავი მანქანა და სხვა.

აუქციონზე საქონელი გაიყიდება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე შემნახველი ბანკის საანგარიშსწორებო წიგნაკის გამოყენებით სასურველი ნივთის შესაძენად.

აუქციონის ჩატარებიდან მიღებული ამონაგები ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში და მოხმარდება მრავალშვილიანი ოჯახების საბინაო პირობების გაუმჯობესებისა და სხვა საქველმოქმედო ხასიათის ღონისძიებების დაფინანსებას.

მოქალაქენო, აუქციონზე შესასვლელი ბილეთები გაიყიდება თეატრის სალაროში მიმდინარე წლის 14 მარტიდან.

პრეფექტურასთან შექმნილი სააუქციონო კომისია.

## კოოპერატივების საყურადღებოდ!

იმის გამო, რომ რესპუბლიკის ეკონომიკაში შექმნილია უკიდურესად მძიმე ფინანსური მდგომარეობა, უუაირათობის კრედიტის ხარჯზე გადაფარვის პრაქტიკამ, საკრედიტო რესურსების მომხმარებლურმა დამოკიდებულებამ შექმნა მთელი რიგი სირთულეები, დაკრედიტების, დაფინანსების და ფულად საანგარიშსწორებო ურთიერთობაში შეიქმნა სამეურნეო კავშირების გაწყვეტის სერიოზული საფრთხე. ამას დაემატა საკრედიტო რესურსების შემცირება. ზეგეგმიური საემისიო შედეგის გამო მოსალოდნელია შეფერხებები ფულის გაცემაში, დიდი მასშტაბები შეიძინა კოოპერატივების საქმიანობაში საკრედიტო ემისიამ, დაძაბული მდგომარეობაა მოსახლეობასთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორების საქმეში. ასეთ პირობებში კოოპერატივების გარკვეული ნაწილი ბანკიდან მიღებულ კრედიტებს იყენებს არამიზნობრივად, არც კი ფიქრობენ კრედიტების დროულად დაფარვაზე.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე აგრომრეწვბანკი აფრთხილებს მის მომსახურებაში შემავალ ვადაგასულ სესხის დავალიანების მქონე კოოპერატივებს 5 დღის ვადაში ბანკში მოაწესრიგონ მიღებული სესხების დაფარვის პერსპექტივის საკითხები, წინააღმდეგ შემთხვევაში მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება სამართალდამცავ ორგანოებს და საგადამხდელო ინსპექციას.

აგრომრეწვბანკის ზუგდიდის განყოფილება.

**დაიწყო ხელმოწერა** საგამომცემლო ფირმა „ორნატი“-ს შემდეგ გამოცემებზე:

1. ქართველური ეთნოგრაფიის წყაროები (ხუთტომეული) ხელმოწერის ფასი 5 მან (ხუთტომეული გამოიცემა 1991—1993 წლებში).

2. ნ. გრიგალაშვილი. სკოლაში შესასწავლი მწერლები (ორტომეული გამოიცემა 1991 წელს. ხელმოწერის ფასი 6 მან. წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტებისათვის.

3. ჟან მური. სამეგრელო. (ეს სქელტანიანი წიგნი გამოიცემა 1991 წელს).

4. აბესალომ ტუღუში. ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან. (გამოიცემა 1991 წელს). ხელმოწერის ფასი 2 მან.

ამ გამოცემებზე ხელმოწერა სწარმოებს ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში (კოსტავას ქუჩა № 7). წიგნს ხელისმომწერნი მიიღებენ ფირმა „ორნატი“-ის მაღაზიაში, რომელიც იხსნება ზუგდიდში.

საწარმოებს და დაწესებულებებს შეუძლიათ წარმოადგინონ კოლექტიური განცხადებები (ხელმოწერის მსურველთა სიები).

თუ გსურთ თქვენი წიგნის თაროები დაამშვენოს ლამაზთიანად გამოცემულმა ძვირფასმა წიგნებმა, იჩქარეთ, და გამოიწერეთ ფირმა „ორნატის“ გამოცემები.

მეუღლე ხათელა. შვილები: ველსაოი, ხუგსაოი. თაყვალა, გაზოლდილეთი გიორგი ეუგელია, გია უგაია. და ძაში, მკილოვილეთი გიზო. ნათია. ნასა. ოილეთი მარიხა. ხიხო. ლულუა. ოლია. ლიდა. ეთერი. თესდე. ძმისშვილები: თამაზი, ზურაბი, ქეთინო. ბიძაშვილები დუროუ. ოთა. ველოდი ძენგელიები. კალისტრატე დარსალია, მამიდაშვილები ვეოა, ალუშა, ლუბა, ლუშა. ლუცია. გული. აგრა, ნადია. ქვისლი აკაკი ძერია. ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**იასონ (ისო) თომას ძე შენგელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 მარტს. დაკრძალვა 16 მარტს 17 საათზე ხაბუმეში (ჩხოროწყუს რაიონი).

ძმა კაკო, რძლები მარგო. ნუნუ. ძმისშვილები დარეჯანი. თინა. ალიკო ფიფიები, სიძე მურმან გაბუნია ოჯახებით იუწყებიან

**მერი ანდრის ასულ ფიფია-დარასელიას**

გარდაცვალებას.

მეუღლე თალიკო. შვილი ზური. რძალი იამზე აბშილავა, შვილიშვილები: ნანა, კრისტინა, ძმა ვალიკო. ძმისშვილები: ემზარ. თამაზი. მერი, რუსიკო, რძლები ლოლა ხასია. ეთერ თოლორაია. ნონა ბერიშვილი, მზახლები: სულიკო. ერმო აბშილავები, ცოლისდები: ქეთევან, ლენა. ქვისლები: კოტე გვარამია. შალვა სახეიშვილი, ცოლისდისშვილები: რეზო. დემური. როლანდი. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ალექსანდრე მელიტონის ძე ნადარაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16 მარტს. დაკრძალვა 17 მარტს. განსვენება ჩიჩუას ქ. 29.

ქ. ზუგდიდის პურკომბინატის კოლექტივი იუწყება

**შალიკო (გვანჯი) პლატონის ძე მეუნარგიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ლუარა ჯოჯუა. შვილები: ძორეხა. ზაზა. ძმები: შუოა. ბოჩო. ძმისშვილები: ნუგზარი. ჯუმბერი. ვახტანგი, მარინა, ნატო. გულადი. სიდედრი ბუქლუ ქარდავა. ცოლისძმა ალიკო ჯოჯუა. ცოლისდები: ნათელა, იზო ჯოჯუები. სიძეები: თამია შენგელაია, მურთაზ შელია. რძალი ლუიზა თოლორდავა დედები: გოგოლი, თამარა. ბიცოლა ძარუსია ბიგვავა. მამიდაშვილები. დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**დათო (ტოტოშა) პროკოფის ძე ხორავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16 მარტს. დაკრძალვა 17 მარტს. განსვენება ქ. ზუგდიდი, კლარა ცეტკინის ქ. 22.

დედა შურა. მამა კოტე. დები: სოფიხა. ელიზა. ძმები: ძალიანი, ცეზარი სუბელიანები, სიძე მასუკა აიოალავა, დისშვილები: ქეთინო. კრისტინა, ბიძები: გურამ. მურმან ქკადუები, მამიდები: ძიხობია. იესურხანი. კატი სუბელიანები. დეიდა ციალა ქკადუა. ბიცოლები: თამარა, ელეხა. ხუხუ. მამიდაშვილები, ბიძაშვილები. დეიდაშვილები იუწყებიან

**მაიზერ კოტეს ძე სუბელიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15 მარტს. დაკრძალვა 16 მარტს განსვენება ზუგდიდი, ყუფუნიას ქ. 20.

შვილები: დუნია, ბოჩო, შვილიშვილები: დოდო. მურმანი. რენო შონიები, თინათინ, ელეონორა. ლევთერი. გოგი უბილავები. რძლები: ნაზია ფარჯიკია. ლუდა სეიჩენკო. დენიზა რაფავა. ნონა ფელანგია, ციალა საჯაია, სიძეები: ალიოშა უბილავა. ალიკო კაკულია, ვახტანგ არქანია. გოველი გაბუნია, დისშვილები: მიმია. ჭუკა გოგოხიები, ძმისშვილები: შუდუდი, რეზო. ლუბა შონიები იუწყებიან

**ბიქტორ კაზას ძე შონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17, 18 მარტს. განსვენება 19 მარტს. ჩიტაძის ქუჩა 59-დან 5 საათზე. დაკრძალვა სოფელ ფახულანში (წალენჯიხის რაიონი).


ინდექსი 65507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-28-07 ტირაჟი 8000 შეკ. №878